საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4807-01-01-10-2-202507071531

N 01-01-10/4807
07/07/2025

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სს „აჭარის წყლის ალიანსი“ -ს (ს/ნ 445 505 178) დირექტორს
ბატონ, თეიმურაზ ბედინაძეს
მის: ქ.ბათუმი, კ.გამსახურდიას ქ.N1, ოფისი N4-7;
ტელ: (0422) 27 86 86

გაცნობებთ, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2025 წლის 12 თებერვლის, 11 აპრილის და 16 ივნისის (სამინისტროს რეგისტრაციის რეგისტრაციის N 01-01-09/2691, N01-01-09/6239 და 01-01-09/8704) განცხადებების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წყალმომარეგების დანიშნულებით) მოპოვებაზე აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ მომზადებული და 2025 წლის 02 ივლისის N08/370 წერილით მოწოდებული იქნა სამინისტროსათვის შესაბამისი გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომლის თანახმადაც ირკვევა შემდეგი:

- ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე (წყალმომარაგების დანიშნულებით), ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში 443 110 $м^3$ -ის ოდენობთ წელიწადში.
- აღნიშნული ობიექტი დაშორებულია დაბა ოჩხამურიდან 1,0 კმ.-ზე.
- მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან აღემატება 10 კმ.-ს.
- ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში აღნიშნული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტეროტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.
- წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
- აღნიშნული მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას და ხმაურს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სკრინინგის განცხადებას, სასარგებლო წიაღისეულის- მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წყალმომარაგების დანიშნულებით) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება

იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: „11“ ფურცელი და SHP ფაილები

პატივისცემით,

ედნარ ნატარიძე

მინისტრი

.

https://edocument.ge/AdjaraGov/public4807-01-01-10-2-202507071531

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE